წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | პარასკევი, 13 იანვარი, 1917 წ. № 10

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი ...
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... ...კანელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს უველგან 10 კაპ.

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ

# „საქართველო“-ზე

### ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: ხანდრო ზანზიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მარიამ ალექსანდრეს ასული ტარხნიშვილისა ძმისწულებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს მეგობართ ნათესავთ თბილისის საოლქო სასამართლოს წევრის

## ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის

# ტარხნიშვილის

გარდაცვალებას. წირვა გადახდილ იქმნება დღეს, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ანდერძის აგება—შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—473—1)

## 14 იანვარს ნინოობას ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება

### ტრადიციული საღამო ქართვ. ქალთა საზოგადოებისა

შემდეგის პროგრამით:

I. **სამშობლო** მეორე მოქმედება.

II. **რუსთველი** მეორე მოქმედება.

III. **პატარა კახი** მეორე მოქმედება.

IV. **აპოთეოზი** ქეთევან დედოფლის წამება.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი; ბ-ნი იმედაშვილი, გვარამაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები იყიდება დილით „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, საღამოთი „ძმურ ნუგეშში“. (4—512—3)

## ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის კონტორა

### 14 იანვრიდან გადადის ახალ შენობაში, კრილოვის ქუჩაზე,

(რომელიც მიხეილის პროსპექტიდან შეუხვევს მტკვრისაკენ)

სახლი ბერძოვიჩისა, № 10. (3—517—1)

## მიწის მზომელი კლიმიაშვილი

შეუდგება გაყოფას 18 იანვარს 1917 წელს აგარაკი ალაზნის გაღმა-მხარის თავად ვაჩნაძეების და აბხაზების მამულის მთის ნაწილისას, ამიტომ სთხოვს მემამულეთ მობრძანდნენ აღნიშნულ რიცხვში დილის ცხრა საათზედ სოფ. ბაკურციხეში მიწის მზომლის ბინაზედ თავ. გიორგი სვიმონის ძე ვაჩნაძის სახლში. (2—474—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

პარასკევს, 13 იანვარს,

# სიმებიანი ორკესტრი სინემატოგრაფი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა.

# ნ. ბარათაშვილის ლექსები

და

## წერილები სრული აკადემიური გამოცემა სურათებით

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა.

წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალი ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

**წიგნის ფასია ხელის მოწერით სამ მანეთ ნახევარი (3—50)**

ცალი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ღირება 5 მან.

✦ წიგნი გამოვა 1917 წლ. აპრილში. ✦

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში**—წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან და პ. ყიფიანთან; **ბათომში**—სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან; **ფოთში**—ლ. ჯაფარიძესთან; **სამტრედიაში**—ის. სტურუასთან; **ხონში**—მოს. ჭელიძესთან; **სოხუმში**—პლ. გელოვანთან; **თელავში**—ივ. პაატაშვილთან; **გორში**—სიმონ მაჭავარიანთან. **ჭიათურაში**—თ. ჯაფარიძესთან. **საჩხერეში**—ანეტა იურკევიჩთან. **ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი. „სახალხო ფურცელი“.**

(კვ.—257—7)

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის საზაფხო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი**, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914“ და „606“**

**შეშხაპუნება**

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## ივანე თიკანაძე

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.** მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ექიმა

## ბ. მ. მეუხაძე

**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ** საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოები. შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს** ოლღას ქ. № 3.

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4.** (თ.—202—)

ექიმი

## პ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## გაზეთ „საქართველო“-ზე ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**— ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.
**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“, 2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ. რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან, 3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.
**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.
**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.
**სამტრედიაში** პორფილე ქეიშვილთან.
**ჭიათურაში**— [illegible] ჯავახიძესთან.
**ბაქოში** — ძმათა ბოსტალანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).
**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.
**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე ქეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

## „მონროეს დოქტრინა“ და ზავი

ეს უკვე მეორედ მოიხმობს ქვეყანას უილსონი ზავის ჩამოსაგდებათ... მისი პირველი შემარიგებელი ნოტა გერმანეთის პირველ საზავო წინადადებას მიჰყვა... მაგრამ შეთანხმების სახელმწიფოებმა ლამის უარყოფითათ უპასუხეს ბერლინსაც და ვაშინგტონსაც... ომი სრულ გამარჯვებამდე და ერთა თავისუფლებამდეო,—ასე განმარტეს თავიანთი მიზანი ინგლის-საფრანგეთ-რუსეთ-იტალიის დიპლომატებმა... და კიდეც დაასახელეს გასანთავისუფლებელნი: ავსტრია-უნგრეთის ერები ჩამოსთვალეს და ოსმალეთის მიერ დამონებული ერებიც თან მიაყოლეს... გერმანეთმა უკვე უპასუხა თავიანთ მოწინაალმდეგეებს. სამწუხაროდ, ეს მეორე ნოტა რუსეთის პრესაში არ გამოქვეყნებულა... მისი შინაარსი მხოლოდ ირიბად იყო მოხსენებული რეიტერის ოფიციოზურ ცნობაში. რეიტერის ცნობით, გერმანელთა მეორე ნოტა, მოწინააღმდეგეებს რომ შარი მოსდოს „ინგლისს ირლანდიელებს და ბურებს აყვედრის, საფრანგეთს და იტალიას—ჩრდილოაფრიკას, რუსეთს კი—განაპირა ერთა დაჩაგვრასა სწამებს...“ რადგან რეიტერის დეპეშას დეტალები აკლია, ძნელი სათქმელია, თუ სახელდობრ ვინა ჰყავს ნახსენები გერმანეთის დიპლომატიას. ასეა თუ ისე, გერმანულ მეორე ნოტასაც, როგორც პირველს, თან ეწევა და ერთვის ამერიკის მეორე ნოტა...

უილსონის მეორე ნოტა განაგრძობს ზავის შვებისათვის ნიადაგის მზადებას... გერმანეთი აცხადებდა—გამარჯვებით მე გავიმარჯვე, მაგრამ თანახმა ვარ ზავი დამკვიდრდეს პატარა ეროვნებათა უფლების შეგუებითაო, შეთანხმების სახელმწიფონი-კი თავს დამარცხებულად არ სცნობენ, გამარჯვებისა და იმავე პატარა ეროვნებათა უფლებაზედ დამკვიდრებულ ზავისათვის ბრძოლა ჰსურთ... ამერიკელი „ბიძია“ მოხერხებულად ურჩევს ორსავე მებრძოლს—გამარჯვება არა თუ საჭირო არ არის ზავისათვის, მავნებელიცააო: მკვიდრი მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ზავი თანასწორთა მიერ იქნება შეკრულიო, თორემ გამარჯვებულის მიერ თავზე მოხვეული ზავი დამცირებას, ძალმომრეობას და შეურაცყოფას უქადის დამცირებულს და მწარე მოსაგონი იქნებაო“...

ამერიკის პრეზიდენტი სრულებით უარყოფს ევროპის დიპლომატთა ტრადიციას: თუ აქამდის ევროპის სახელმწიფონი სწორ-წონაობის ახალ სისტემის დამყარებისათვის იბრძოდნენ, აწი მხოლოდ გამძლე მშვიდობიანობა უნდა ეძიონო... კაცობრიობას არსობის თავისუფლება მოსწყურდა; ამიტომ უილსონის წინადადებით „ყველა ნაციები ერთად უნდა მორიგდენ და მონროეს დოქტრინა დააწესონ საყოველთაოდ საერთაშორისო კანონად;—არცერთი ნაცია არ უნდა სცდილობდეს სხვაზედ გაბატონებისათვის; ყოველ ერს დამოუკიდებელი თვითმართველობა უნდა მიენიჭოს და უფლება მიეცეს მის მიერ არჩეულ გზით დაუბრკოლებლივ და სხვისგან ძალდაუტანებლივ იაროსო...“

ამგვარად ბიულოვ-გრეის დიპლომატიის და სტრატეგიის შესარიგებლად უილსონს სურს ოთხმოცდაექვს წლის წინად გარდაცვლილ ამერიკელ პრეზიდენტის მონროეს თეორიას გაამარჯვებინოს... ჯემს მონროე ის გახლავსთ, ნაციონალისტთა ანდაზად ქცეული დევიზი რომ შეჰქმნა: „ამერიკა ამერიკელებსო“!.. მონროე თანაზიარი იყო იმ ომისა, რომლის წყალობით ინგლისის კოლონიად ნამყოფი ამერიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდიქცა... პრეზიდენტად იმ დროს აირჩიეს, როდესაც ნაპოლეონის საფრანგეთის დამთრგუნველმა კოალიციამ „წმიდა კავშირი“ („ლ'უნიონ-საკრე“) დაარსა და საეროვნო მოძრაობათა გასასრესათ ყველა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ერეოდა,—მონროემ დასწერა 1823 წელს ამერი-

კას სენატისადმი მიმართული (ცნობილი ეპისტოლე).—ეს ეპისტოლე ამერიკელთა პოლიტიკის სამი მცნებაა: ა) ამერიკის შტატები წინააღუდგებიან „წმიდა კავშირს", თუ მან ამერიკის ნახევარ სფეროზედ გავლენის მოპოვება მოინდომა; ბ) ამერიკის შტატები არ გაერევა ევროპიელთა ომებში და ამიტომ ნურც ევროპის სახელმწიფონი გაერევიან ამერიკელთა ურთიერთ დამოკიდებულებაში; გ) ამერიკა გაცივილიზებულ ხალხით არის დასახლებული, ამიტომ ევროპის სახელმწიფოთ უფლება არა აქვთ იქ საკოლონიზაციო მოქმედებისაო... ეს იყო და ეს... მას აქედ მონროეს დოქტრინა ჩრდილო-ამერიკის შტატთა პოლიტიკის ღერძად ითვლება... ევროპელებიც უკვე შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ ჩრდილო-სამხრეთ ამერიკის მიწა-წყალზე მკვიდრ ხალხთა და სახელმწიფოთა საქმეებში მათ ხელი არ აქვთ.. რომ ეს ასეა, მექსიკის, ვენეცუელის და პანამის ინციდენტებმა დაამტკიცა...

ახლა უილსონი იმედობს, მონროეს დოქტრინა არა მარტო ამერიკის, არამედ ევროპა-აზიის საერთაშორისო პოლიტიკის ღერძად აქციოს. აქ ერთი დიდი ლაფსუსი იბადება, რომლის მითითებას ალბად არ დააყოვნებენ. მონროეს პოლიტიკა იმ ორ ამერიკას ეყრდნობოდა, ერთი ერთმანეთზე გადაბმულ ბორკალებივით რომ წვანან ორ ყინულიან ოკეანეთა შორის. მონროეს ერთი მცნება განა სწორედ ის არ არის, რომ ამერიკელებს ევროპის სახელმწიფოთა ომში ხელი არა აქვთ და მათ საქმეში არას დროს არ გაერევიანო?..

ასეა თუ ისე, უილსონი პაციფიზმის მოციქულობისათვის და საყოველთაო საერთაშორისო კავშირის—ლიგის დაარსებისათვის არა მარტო მონროეს სახელგანთქმულობას იშველიებს, არამედ ცდილობს მთელ ამერიკის ძლიერება ნეიტრალ ერთა პრესტიჟს შეუერთოს, ოღონდ კი მეომართ ზავი ჩამოაგდებიოს... პაციფიზმი საზოგადოდ პასივიზმია და ყოველთვის ერის სამხედრო ინსტინქტის მოდუნებას ნიშნავს. მეომარ სახელმწიფოთა სისხლის ფასით ნაყიდ ოქროთი ყელამდის ავსილ ამერიკას ეშინიან იმისა, რომ ევროპის კოალიციათაგან ერთი რომელიმე საბოლოოდ გაიმარჯვებს და დამარცხებულ სახელმწიფოთა ზურგზე აშენებული ახალი „წმინდა კავშირი" არ შეარგებს ამერიკელებს მილიარდებს. ყოველთვის ასე ყოფილა, რომ მტერი იმ სახელმწიფოს ესეოდა, სადაც ბევრი „ოქრო" იყო და ცოტა „ტყვია". იაპონია დიდი ხანია, რაც პატივს არა სცემს მონროეს დოქტრინას; იაპონელები ვერ დააჯერეს, რომ ამერიკა მხოლოდ ამერიკელებისაა. ტყუილად კი არა სთქვა ოიამამ,—ამ ომის მერმე პირველი ომი იაპონია-ამერიკისა იქნებაო"

ბოლოს და ბოლოს, ასეთი ანგელოზები აქამდის არც ის ამერიკელები იყვნენ, ახლა რომ ევროპას ერთა პატივისცემას უნერგავენ... ვაშინგტონ-ლინკოლნ-მონროე - ჯეფერსონ-უილსონის თეთრი ამერიკა წითელ და შავ კანიანთა ძვლებზეა აშენებული.. ამერიკაში ახლაც ათ მილიონამდე წითელკანიანი სცხოვრობს, მაგრამ ესენი, მ. წერეთლის თქმისა არ იყოს, ჯერ მხოლოდ „კორპორაციის ფონდში" ირიცხებიან... მათ ეროვნულ უფლებას რომელი ამერიკელი შეიწყნარებს, როცა სულ თხუთმეტი წელიწადი თუ არის, რაც ამ „ჰუმანიურმა" ერმა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ფილიპინის კუნძულნი გაჟლიტა...

რაღაც საბედისწერო შეიქმნა ეროვნული საკითხი მეომარ სახელმწიფოთათვის... მებრძოლ იმპერიათა ახალი გამიჯვნა სწორედ პატარა, უფლებააყრილ ერთა მიწა-წყალზე უნდა მოხდეს და რა საკვირველია, თუ აქა-იქ უკვე მყარდება ის ნეტარი შეხედულება რამდენიმე სახელმწიფოთა სამხედრო და საეკონომიო ინტერესთა, რომელიც ჩვეულებრივად აორსულებს ხან და ხან ასამსულებს კიდეც იმპერიებს და ახალ სახელმწიფოებსა ჰბადებს... ის, რასაც ამერიკელთა პრეზიდენტისგან გამომჟღავნებული მონროე ამბობს, თითქმის იმავე სიტყვებითვე ორივ მებრძოლ კოალიციის დიპლომატიამ აღიარა... წარმოიდგინეთ, რომ რუსის კადეტთა მოსკოვურმა ოფიციოზმა—„რუსკია ვედომოსტმა"—უილსონის პირველ ნოტის პასუხს ასეთი კომენტარია წაუმძღვარა: „ყოველ კულტურულ ერს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის უფლება უნდა მიენიჭოსო"... მხოლოდ დასახელებაზედ რომ მიდგება საქმე, ყოველ კოალიციას მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეროვნული გეოგრაფია უფრო ემარჯვება, მოლა მასრადინისაებ, თავიანთი თავი ავიწყდება... აი სწორედ ამ ანგარიშში არის გამოსადეგი ისეთი პრესტიჟი, როგორიც ამერიკის პრეზიდენტს უილსონს აქვს...

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი მოსაზღვრე ოსმალეთი: მოკავშირეებმა ხომ უკვე აღიარეს, რომ ომის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ოსმალეთის მიერ დამონებულ ერთა განთავისუფლება არისო... ოსმალეთის იმპერიაში ბევრი ერია მოქცეული: აქ არიან არაბები, სირიელნი, ქურთები, ბერძნები, ებრაელები, სომხები, ოსმალოს ქართველები—ლაზები... აი ყველა ეს ერები საერთაშორისო უფლებას სუბიექტად უნდა იყვნენ ცნობილნი... ერი და სახელმწიფო ერთმანეთს უნდა გაუსწორდეს, რადგან ლორანისა არ იყოს, l'etat est la réalisation de la nationalité...

ისტორია რომ ამ გზით მიდის, ეს უკვე ნათელია... მხოლოდ ყოველ ერის ფიზიკურ, ქონებრივ და სულიერ ნებისყოფაზედ არის დამოკიდებული იმ გრძელ ჯერში წინა ალაგის დაჭერა, რომელშიაც ახლა უხელმწიფო ერები ჩამწკრივებულან.

გრ. ვეშაპელი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე გერმანელთ მრავალრიცხოვან რაზმით სასტიკი იერიში მიუტანიათ სოფ. კალნცემთან, რომელიც მდებარეობს რიგის დასავლეთით მდ. ააზე და რუსეთის ჯარისათვის 2—3 ვერსით აღმოსავლეთისაკენ დაუხევინებიათ. დეპეშა გადმოგვცემს, რომ სასტიკი ბრძოლა ჯერაც გრძელდებაო. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბაბიტის ტბასთან ამ რამოდენისამე კვირის წინედ რუსებმა საგრძნობლად აზარალეს გერმანელები და რამოდენიმე სიმაგრეც დააცლევინეს. ამ მარცხის შემდეგ მოპირდაპირესთვის არა სასარგებლოდ დამყარდა ბრძოლის ხაზი. მას შემდეგ გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს დაკარგულ ადგილების დაბრუნება, მაგრამ ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა. გუშინდელი ოფიციალი ცნობა მათს გამარჯვებას ადასტურებს. ჩვენ საქმე ადგილობრივის ხასიათის ბრძოლასთან გვაქვს, თუ გერმანელთ უფრო ფართო განზრახვა აქვთ,—გამოცნობა ძალიან ძნელია. შეიძლება მოპირდაპირე იმასაც სცდილობდეს, რომ რუსეთის სამხედრო შტაბს, თუ კი მას გადაწყვეტილი აქვს ამ მიდამოებში შეტევა განაგრძოს, ინიციატივა ხელიდან გამოსტაცოს და ამ რიგად საშუალება მოუსპოს აქტიურ ოპერაციის წარმოებისა. ეს მათთვის აუცილებლივ საჭიროა, რადგან რუმინეთის ასპარეზით ოპერაცია ჯერაც დამთავრებული არ არის და ახალ ძალების მიშველებას მოითხოვს.

დობრუჯაში ბულგარელები მოულოდნელად გადასულან წმინდა გიორგის კუნძულზე ქ. ტულჩასთან, მაგრამ მთელი ეს რაზმი რუსებს გაუწყვეტიათ. განაგრძობენ თუ არა ბულგარელნი ამ კუნძულზე შეტევას, ოფიციალ დეპეშიდან არ სჩანს; უფრო მოსალოდნელია, აქ დემონსტრაციასა ჰქონდეს ადგილი, რადგან ფართო ოპერაციის წარმოება დუნაის შესართავთან საშინლად ძნელიც არის და სახიფათოცა.

X.

## ომის დეპეშები

12 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, გერმანელებმა შემოგვიტიეს რიგის დასავლეთით ტირულის ჭაობისა და მდ. აას შუა და აგრეთვე სოფ. კალნცემის აღმოსავლეთით; ზედი-ზედ მოტანილი იერიშებით მოახერხეს 2 | 3 ვერსით ჩრდილოეთით დაეხიათ ჩვენი ჯარი. ცხარე ბრძოლა გრძელდება.

ტენეფელდის აღმოსავლეთით და ილუქსტის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირის იერიშები სროლით შევაჩერეთ. იეზუპოლის მიდამოებში ჩვენმა ზარბაზნებმა მარჯვე სროლით გაჰფანტეს მტრის ბატალიონი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიემართებოდა.

**რუმინეთის ასპარეზი.** დუნაის ასპარეზზე ორივე მხრივ სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. დუნაიზე, ტულჩის პირდაპირ, ბულგარელების ერთმა ბატალიონმა ნისლით ისარგებლა და დილით გეორგის ტოტი გადმოლახა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ღამის იერიშით თოფის დაუცლელად ჰკუწა ეს რაზმი და ხელთ იგდო 5 აფიცერი, 332 მეომარი და 4 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენ დაგვიჭრეს 1 აფიცერი და 41 ჯარისკაცი, 1 მოგვიკლეს.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

### შვეცია.

**სტოკჰოლმი.** მთავრობამ რიხსტაგში წინადადება შეიტანა, რათა მთავრობამ 330 მილიონი კრონი გადასდოს შვეციის ნეიტრალობის დასაცველად.

### იტალია.

**რომი.** იტალიის ოფიც. ცნობა. გორიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა და ჩვენს თხრილებს მოუახლოვდა, მაგრამ მყის უკუვაგდეთ.

### ინგლისი.

**ლონდონი.** საღამოს ცნობა. არმანტიერის და პალეგსტრეტის შუა მდებარე მიდამოებში გერმანელების შემოტევა მოვიგერიეთ. მეორე ადგილას გერმანელებმა მოახერხეს ჩვენს სანგრებში შემოჭრა, მაგრამ მყის უკუვაგდეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ ჩვენი თხრილების წინ გერმანელების მრავალი გვამი აღმოჩნდა. მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ. ჩვენ ერთი საფრენი დაგვაკლდა.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** გერმანელების ერთი საფრენი ევრეს დასავლეთით დაეშო, ორი მფრინავ-აფიცერი დავატყვევეთ.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. შამპანსა და არგონებში მეტად მედგარი ბრძოლა ჩაღდება ზარბაზნებით. გერმანელების შორს მსროლელმა ზარბაზნამა რამდენიმე ყუმბარა გამოისროლა ფუარას მიდამოებისაკენ. ელზასში, გირიბახის მიდამოებში მზვერავთა შეჯახებაა; ლარშცენის მახლობლად ზარბაზნების სროლაა.

მტრის საფრენიდან 5 ყუმბარა ესროლეს მონტილიეს. „ფოკერ"-ი დაეშვა ფიმის მახლობლად. გერმანელების 2 საფრენი მარშლეპის მახლობლად ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ.

### საბერძნეთი

**ოდესა.** როგორც გადმოგვცეს ათონში საბერძნეთის მთავრობა გერმანელებს ეხმარება. ათონთან ჩერდება ხოლმე გერმანელების წყალქვეშა და სურსათ-სანოვაგით იტვირთება.

## ბრძოლა ზღვაზე

(პეტ. დეპ. სააგენ.)

11 იანვარი.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა. გუშინწინ ღამ ჩრდილოეთის ზღვაში, ჰოლანდიის სანაპიროებთან ჩვენი მოდარაჯე გემები გერმანელების კონტრ-ნაღმოსანთა ფლოტილიას შეხვდა, 1 დაჰღუპა, დანარჩენები დიდად დაზიანებული გაჰფანტა. იმავე ღამეს შევენის ნაპირებთან ცხარე ბრძოლა ჰქონდათ ინგლისისა და გერმანელების კონტრ-ნაღმოსნებს. გერმანელების ნაღმმა ინგლისის 1 კონტრ-ნაღმოსანი ძალიან დააზიანა, მოჰკლეს 37 მეზღვაური, მათ შორის 3 აფიცერი. დაზიანებული გემი ჩვენვე ჩავძირეთ. სხვა ზარალი არ მოგვსვლია.

**ლონდონი.** ლლოიდი იტყობინება: დაგვიღუპეს შემდეგი გემები: „კალილ"-ი, „ლანკლარნ"-ი, „პატრიკ ოლსონ"-ი, „მარინა" და „მოხან ფიელ"-ი. უკანასკნელი გემის უფროსი ტყვედ წაიყვანეს. ორი მეზღვაურის არავითარი ცნობა არა გვაქვს.

## აფეთქება ინგლისში

(პეტ. დეპ. სააგ.)

**ლონდონი.** ოფიც. ცნობების მიხედვით, სამხედრო ქარხანაში აფეთქებას უმსხვერპლია: 44 მამაკაცი; 19 მძიმედ არის დაშავებული, 155 მსუბუქად, მოკლულია 11 დედაკაცი, მძიმედ დაჭრილა 34 დედაკაცი, მსუბუქათ 102, ბავშვი მოკლულია 4, მძიმედ დაჭრილია 1, მსუბუქად 71.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### შვეიცარია

**ჯარის თავმოყრა.**

შვეიცარიის მთავარსარდალმა გენერალმა ვილემ, რომელიც ერთად-ერთი გენერალია მთელ შვეიცარიაში, მთელი ჯარის მობილიზაცია მოსთხოვა მთავრობას, რადგანაც გერმანელები კონსტანცას ტბის ჩრდილოეთით დიდძალ ჯარს თავს უყრიანო. ჯერ მხოლოდ ნახევარი ჯარი, შეჰკრიფეს სულ 3 ნახევარი დივიზია.

**ვინ გადალახავს შვეიცარიას.**

„რ. ს." სამხედრო მიმომხილველი შვეიცარიის მდგომარეობას ეხება და სწერს: საფრანგეთისათვის, შვეიცარიის გადალახვით, სამხრეთ გერმანეთში შეჭრა დიდად ხელსაყრელია, რადგანაც იგი ჰინდენბურგის დასავლეთის ჯარს ზურგიდან დაემუქრებოდა და დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მიანიჭებდა საფრანგეთს. მაგრამ საფრანგეთი როგორ შეჰლახავს შვეიცარიის ნეიტრალობას. გერმანეთისათვის რომ ხელსაყრელი იყოს შვეიცარიის გადალახვა, ვილჰელმი ერთს წუთსაც არ დაფიქრდებოდა. დღეს მხოლოდ ერთია ცხადი: გერმანელები დიდძალ ჯარს აგროვებენ რეინზე, ბაზელის ჩრდილოეთით და ბოდენის ტბის ჩრდილო-დასავლეთით.

**შვეიცარიის ჯარი**

შვეიცარია ისეა დაქსელილი რკინისა და საუცხოვო შარა გზებით, რომ მთელი ჯარის თავმოყრა რამდენიმე დღის საქმეა. სამწუხაროდ ტეხნიკურის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია.

შვეიცარიაში 4 მილიონი მცხოვრებია. ამათგან 460 ათასია სამხედრო ბეგრის მომხდელი, რომელთაგან მხოლოდ 242 ათასია სამხედრო წესით გაწრთვნილი.

საჭიროების დროს სათადარიგო ქვეითა ჯარი ავსტრიისა, იტალიისა და საფრანგეთის მიჯნებს უდარაჯებს; უმთავრესი ჯარი ტიროლის და ფოლარბეგის მისავალ გზებს შეჰკრავს. საველე ჯარში 200 ათასი მეომარია და 540 ზარბაზანი.

ამ ომიანობის დაწყებისას შვეიცარიამ ვერ მოახერხა სრული სამხედრო საჭურველის დამზადება და სათადარიგო ჯარის მხოლოდ დავთრებში ეწერა, თორემ ნამდვილად არც ერთი ზარბაზანი არ გააჩნდა. ომიანობის დროს შეავსეს ეს ნაკლი თუ ვერა, არ ვიცით. რუმინეთის მაგალითი თვალ წინ გვიდგას. [illegible] განმავლობაში ვერ მოახერხა შესაფერი მომზადება. ეს მაგალითი ნათელ ჰყოფს შვეიცარიის უნუგეშო მდგომარეობას.

**შეიარაღება.**

თითო ბატალიონს მხოლოდ 4 ზარბაზანი აქვს, მაშინ როდესაც გერმანელებს 1000 მეომარზე 10—12 ზარბაზანი აქვთ. საველე ზარბაზნები კი საუკეთესო აქვთ, კრუპის ქარხნისა, მაგრამ მძიმე ზარბაზნები კი გროშად არა ღირს. შვეიცარიის უდიდესი მძიმე ზარბაზანი 12 სანტიმეტრიანია, მაშინ, როდესაც გერმანელებს მომეტებულ ნაწილად 21—28 სანტიმეტრიანი ზარბაზნები აქვთ, გარდა იმ საშინელ მძიმე ზარბაზნებისა, რომლებიც 38 და 42 სანტიმეტრიანია.

ომის დაწყებამდე შვეიცარიის ჯარს სულ 320 ტყვიისმფრქვეველი ჰქონდათ. გერმანელები ამდენ ტყვიისმფრქვეველს 6—7 ვერსის მანძილზე გამოსდგამენ ხოლმე.

თუმცა შვეიცარიას საკმაოდ ჰყავს ცხენები და ჯორები, მაგრამ ცხენოსან ჯარს ნახევრად გაუწრთვნელი ცხენ-ჯორი ჰყავთ.

ჰინდენბურგმა შვეიცარიის საზღვრებს იმდენივე ჯარი რომ მიაყენოს, რამდენიც ფალკენჰაინს თავდაპირველად ჰყავდა ტრანსილვანიაში შესევის დროს (200 ათასი მეომარი 1200 ზარბაზნით), შვეიცარიის ჯარი იძულებული გახდება ნელა-ნელა უკან დაიხიოს. შვეიცარიის ჩრდილოეთის საზღვარი სრულებით არ არის გამაგრებული და მხოლოდ ბუნებრივ სიმაგრეებს თუ ამოეფარება შვეიცარიის ჯარი.

**შესევის გეზი.**

თუმცა რეინი თვალსაჩინოდ შეაფერხებს გერმანელებს, მაგრამ ბაზელთან რეინის მისახვევიდან ელზასში ალტირსთან მობანაკე საფრანგეთის ჯარის შუა, შვეიცარიაში შესასევად დარჩენილია 30 ვერსის მანძილი, რომლის ზურგის მხარესაც შვეიცარიის საზღვრებთან ჩრდილოეთ იურის მთები დაბალი ქედებია, რომელთა გადალახვაც ადვილია. ამის გარდა ავსტრიის ჯარს ტიროლიდან ფორალბერგის გზით შეუძლიანთ ზემო რეინზე გადასვლა და შვეიცარიის ჯარის მარჯვენა ფრთის დამუქრება. ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ შვეიცარიის ჯარმა საკუთარი ძალით შესძლოს თავისი ნეიტრალობის დაცვა.

### ინგლისი

**ქალთა ლაშქარი.**

ინგლისის მთავრობას განუზრახავს ქალთა ლაშქარის დაარსება სასოფლო მეურნეობაში სამუშაოდ. დედაკაცებს და ახალგაზდა ქალებს ექვს კვირას ავარჯიშებენ სამეურნეო მუშაობაში და საზოგადო ბინაზე იყოლიებენ. მათ მიეცემათ დღეში 75 კ., ე. ი. იმდენივე, რასაც ინგლისელი ჯარის კაცი ღებულობს. სამუშაოზე გასვლის დროს ფერმის პატრონი განიხრულ ხელფასს მისცემს.მუშაობის დასრულების შემდეგ, ისევ ყაზარმაში დააბრუნებენ მათ. იმედი აქვთ ასი-ათას ქალს მოუყარონ თავი.

## ორ ნახევარი მილიონი უქმად!

ამ ცოტა ხნის წინად, რუსულ ენაზედ, გამოვიდა მეტად საგულისხმო წიგნაკი გ. ვ. ზერცალოვისა: **„სახოფლო-სამეურნეო თანხა თბილისის გუბერნიის სოფლებისა."*)**

ახლანდელ ომიანობის დროს ხსენებულ წიგნაკის თემა ქართველ მკითხველს ნამეტან მშრალ საგნად მოეჩვენება. მიუხედავად ამისა იმედი გვაქვს მკითხველის ყურადღება მაინც მივიპყროთ, რადგანაც საქმე ეხება ჩვენი გლეხკაცობის მიერ 25 წლის განმავლობაში დაგროვილ და უქმად გდებულ ორ ნახევარ მილიონ მანეთს! დღეს, როდესაც ქართველი ხალხისთვის ეკონომიურ ძალთა მობილიზაციას ახდენს, ახალ ეკონომიურ კვანძებსა ჰკრავს და მის სიძლიერის უზრუნველსაყოფად საჭირო ფულს დაეძებს, ქართველ გლეხკაცობის ორ ნახევარ მილიონ ნაღდი ფულის სვებედი, უეჭველია, ყოველ შეგნებულ ქართველის ყურადღებას მიიპყრობს.

ქართლ-კახეთის სოფლების სასოფლო-სამეურნეო არსებულ ფონდის თაობაზე ჩვენს გაზეთს არაერთხელ უსაუბრნია ქართველ მკითხველთან. მაგრამ მაშინ გვაკლდა ზოგიერთი საჭირო ცნობა, რომელიც მიმალული იყო მართველობის არქივთა ბნელ კუნჭულებში და ამის გამოც ამ ფონდის მდგომარეობის სურათი სავსე არ იყო. ბ ნმა გ. ვ. ზერცალოვმა მოახერხა და შეავსო ეს ნაკლი და თავის წიგნაკში გლეხთა თანხის წარსული და აწინდელი მდგომარეობა სავსებით გადაგვიშალა.

მოკლედ გავიხსენოთ ჯერ მისი წარსული. ბ-ნ ზერცალოვის თქმით „კეთილი აზრი თბილისის გუბერნიის სოფლებში სასოფლო სამეურნეო თანხის შედგენისა თბილისის გუბერნატორს თ-დ გ. შერვაშიძეს ეკუთვნოდა". 1891 წ. ეს „კეთილი აზრი" კეთილ საქმედ გადაიქცა და ქართლ-კახეთის სოფლებში დაიწყეს „ხორბლის მოგროვება, რომელიც, როგორც შემდეგში დავინახავთ ორ ნახევარ მილიონ მანეთის სახით საგლეხო ფონდად გადაიქცა. თავად შერვაშიძის აზრით, მიზეზი ამ ფონდის დაარსების აუცილებლობისა ყოფილა „გლეხკაცობის მამულის სიმცირე, რომელიც ვეღარა ჰკვებავდა გლეხკაცის ოჯახსა და ყოველ მხრივ დავალიანებული მძიმე ლოდად კისერზედ აწვებოდა". და მიზანი ხსენებულ ფონდისა უნდა ყოფილიყო ამ სიმძიმის შემსუბუქება: ახალ მამულების სყიდვითა, სარწყავ რუების გამოყვანით, ჭაობების დაშრობით, სამეურნეო იარაღის, მინერალ სასუქის, კაი სათესლე მასალის, ჯიშიან საქონლის და სხვ. შეძენით. ესე იგი, ქართულ სოფელში ინტენსიურ მეურნეობის გაჩაღება, რაზედაც დღესაც ვოცნებობთ. „მაგრამ, საჭიროა,—სწერდა თავის მოხსენებაში თავადი შერვაშიძე მაშინდელ მთავარ მართებელს გრაფ შერემეტიევს—გლეხკაცს მიეცეს საშუალება თავის ეკონომიურ ცხოვრებას თავისივე ძალღონით გაუძღვეს. და რომ სასოფლო-სამეურნეო თანხა შეუფერხლივ შემდგარიყო შერვაშიძის ფიქრით, „სოფლის ხალხი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შემდგარი თანხა, როგორც მისი საკუთრება, მთავრობის მიერ ხელუხლებელი იქნებოდა და დაიხარჯებოდა ზემოხსენებულ მიზნებისათვის კანონიერად დამტკიცებულ წესით".

თავად შერვაშიძის ასეთ საყურადღებო განზრახვას მიემხრო გრაფი შერემეტიევიც, და, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ თანხის მოგროვებას 1891 წლიდანვე შეუდგნენ. მაგრამ კანონიერი განსახიერება გულკეთილ ქართველის „კეთილ აზრს" მარტო ცამეტის წლის შემდეგ ეღირსა. 1904 წელს თიბათვის 7 უმაღლესად დამტკიცდა „წესები შედგენისა და ხარჯვისა სასოფლო-სამეურნეო თანხებისა თბილისის გუბერნიის სოფლებში". (Правила объ образованіи и расходованіи сельск.-хоз. капиталовъ въ селеніяхъ Тифлисской губерніи).

მთავარი მუხლები ამ „წესებისა" შემდეგია: თბილისის გუბერნიის ყოველ სოფელს თავის სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად უფლება ეძლევა დაარსოს განსაკუთრებული სასოფლო სამეურნეო თანხა (§ 1), რომლის დაარსების სურვილი სოფელმა თავის სასოფლო განაჩენში უნდა დაადგინოს (§ 2). ხსენებული თანხა შესდგება ყოველ წლიურ გადასახადის შეგროვებით, ყოველ მამაკაცმა 12—60 წლამდის (§ 4) უნდა შეიტანოს არა ნაკლებ 20 გირვანქა ხორბლისა ან ფულად უნდა გადაიხადოს 30 კაპ. (§ 6). ფული ინახება სახელმწიფო შემნახველ კასებში (§ 9) თანხის ხარჯვა შეიძლება მარტო სასოფლო განაჩენის შემდეგ (§ 16), რომელსაც ადგილობრივი მომრიგებელი შუამავალი არჩევს და საბოლოო დამტკიცებისათვის საგუბერნიო საგლეხო სამართველოს უგზავნის (§ 18).

—

ხევსურეთის და მთიულეთის (დუშეთის მაზრა) გარდა, ქართლ-კახეთის ყველა სოფლები სასოფლო-სამეურნეო თანხის შედგენაში მონაწილეობას იღებენ. ამ თანხის წევრებად 1914 წ. 1 იანვრამდის ითვლებოდა 264 სასოფლო საზოგადოება (ძველებურ დანაწილებით), ანუ 1456 სოფელი თავის 201006 მცხოვრებ მამაკაცით. ამ დრომდის თანხა შესდგებოდა: [1])

ა) ხორბალით—4771,24 ფუთი.

ბ) სახელმწიფო შემნახველ კასაში 968.206 მან. 14 კაპ.

გ) % % ქაღალდებით (რენტა) 1.036.200 მან.

გაცემული იყო სესხად:

ა) ხორბლით—1109,5 ფუთი

ბ) ფულად—507.766 მან. 69 კ.

თუ გავანაღდებთ პროცენტებიან ქაღალდებს (მის ნომინალ ფასის კვალობაზე) და ფუთ ხორბალს საშუალოთ ერთ მანეთად ჩავსთვლით, სასოფლო-სამეურნეო თანხის მთელი ჯამი გადაიქცევა 2.518.053 მან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „წესების" გამოცემის შემდეგ, 1904—1914 წლამდის თანხის მოგროვება განახევრდა წინა ათეულ წელთან შედარებით. მიზეზი ამისა თურმე ხორბლის მოგროვების გაძნელება ყოფილა, რადგანაც საგრძნობლად შეირყა პარიტეტი 20 გირვანქა ხორბლის და 30 კაპ. შორის. 1904 წლიდან 20 გირვანქა ხორბალი 30 კაპეიკზე მეტად ფასობდა და გლეხკაცი გაძვირებულ ხორბლის მაგიერ, რასაკვირველია, ექვს შაურის გადახდას ირჩევდა. თანაც არც ფულის მოგროვება სწარმოებდა ბეჯითად.

—

1904—1914 წლამდე ორ ნახევარ მილიონ მანეთის სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან, მხოლოდ $^1/_2$ მილიონი გაიცა სესხად ანუ 20%. დანარჩენი 80% თანხისა, მიუხედავად სოფლის საშინელ გაჭირვებისა, სახელმწიფო შემნახველ-კასებში უქმად დებულა და ხალხს ჩვეულებრივ 3,6—4% „სარგებელს" აძლევდა! ბ-ნი ზერცალოვი ძალიან უკმაყოფილოა სასოფლო-სამეურნეო თანხის არსებულ პატრონაჟით. „ამ თანხის დამაარსებელ ინიციატორების დედა აზრი, რომ სოფლის ხალხს მისცემოდა საშუალება საკუთარის სალსრით და ძალით თავის გაჭირვებულ ცხოვრების მოვლისა, 1904 წლის „წესებმა" თავის „ოპეკუნობით" სრულიად გააბათილეს და, რასაკვირველია, რომ გლეხთა თვით-მოქმედებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდაო",—ამბობს პატივცემული ავტორი. საგლეხო სამართველო, მასთან, მეტად უგულოთ უვლიდა ამ დიდ საქმეს და მთელი მისი საქმიანობა ანგარიშების შედგენა-დამტკიცებაში იხატებოდა. მომრიგებელი-შუამავალნიც არ იცხელებდნენ თავსა ამ თანხის რაციონალად და ხალხის საჭიროების მიხედვით თავის დროზე მოხმარებისათვის და შედეგად მოჰყვა ფულის მოგროვების პროცესის თანდათანი მინელება და შემცირება.

ამ თვალსაჩინო ფონდის ასეთ უმწეო მდგომარეობის გამოსასწორებლად ბ-ნი ზერცალოვი თავის მხრივ საყურადღებო წინადადებას იძლევა: „სრულიად შეცვლილიყოს 1904 წ. თიბათვის 7 კანონი. ყველა სოფლის თანხები შეერთდეს და ფონდათ დაედოს „გლეხთა სასოფლო-სამეურნეო საურ-

*) Г. В. Зерцаловъ. „Сельско-хозяйственный капиталъ въ селеніяхъ Тифлиск. губер". გამოცემა კავკასიის საიმპერატორო სასოფ.-სამეურ. საზოგადოებისა, 1916 წ.

[1]) გ. ვ. ზერცალოვი. ფურც. 7.

## პოლონეთი

**მფრინავი ფლოტი.**

პოლონელ აქტივისტების პარტიამ პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს აცნობა: ჩვენ დავაარსეთ მფრინავთა ფლოტის საზოგადოება და შესაფერი თანხა გადასდეთ ამ საქმის გასაფართოვებლად და მოსაწესრიგებლადაო. ამ საზოგადოებას მეთაურობენ: პილსუდსკი, ლემპიცკი, ბრუძინსკი და ავსტრიელთა მოტრფიალე სხვა აქტივისტები.

## იაპონია

რუსეთი იაპონიაში ახალ სესხს ღებულობს 200 მილიონ მანეთისას. ძველი სესხის განაღდების ვადა კიდევ გადაადებინეს.

## გერმანეთი

**„უგვირგვინო მეფე“**

პრუსიის ლანდტაგში პრუსიის „უგვირგვინო მეფემ“ ჰეიდებრანდტმა სხვათა შორის სთქვა: განსაკუთრებით ჩვენი გლეხობის მამულიშვილურ გრძნობას მივმართავ: გლეხობა მოქალაქეებს უნდა შეუკავშირდეს და უკანასკნელი ლუკმა მეომრებს უნდა მიაწოდოს. ჩვენი ბრძოლისა და ბელგიის გადალახვის სამართლიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ რკინის შუბლიან ხალხს შეუძლიან. ინგლისი მთელი ათი წელიწადი ემზადებოდა გერმანეთზე დასაცემად და თუ ეხლა ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი წყალქვეშა ნავებით საშინელ ბრძოლას გააჩაღებს, სრულიად სამართლიანი იქნება.

## უკანასკნელი ცნობები

**დონის როსტოვში აღმოუჩენიათ ორგანიზაცია, რომელიც თურმე ჯარში გაწვეულებს ანთავისუფლებდა. შეიპყრეს 40 კაცი.**

—

**სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთის სოციალ-დემოკრატების პარტია მეტის-მეტად შემცირდა, თითქოს დადნაო. უმცირესობამ შეადგინა ფრაქცია ძველის მიმართულებითაო.**

—

**ავსტრო-უნგრეთისა, ოსმალეთისა და ბულგარეთის პარლამენტთა პრეზიდენტებს ბერლინში ბჭობა ჰქონიათ. ამბობენ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შეეხნენო.**

—

**შვეიცარიის მთავარ-სარდალს განუცხადებია: შვეიცარიის ჯარი საომრად მზად არის და დროს ელის მოწინააღმდეგეს გაუმკლავდესო.**

—

**ესპანიის სანაპიროებზე გერმანელების წყალქვეშები შეუმჩნევიათ.**

—

**რუმინეთის ასპარეზზე გენერალ მაკენზენის ფრონტი სიგრძით 240 ვერსია. ამ ფრონტზე მოქმედობს სამი გენერლის ლაშქარი: ფონ-არცისა, ფონ-გეროკისა და ფალკენჰაინისა.**

—

**„რეჩის“ ცნობით განკარგულებაა ქალაქთა და ერობის კავშირიდან დათხოვნილ იქმნენ ებრაელნი, ექიმებისა და ფერშლებს გარდა და მათ მაგიერ მიღებულ იქმნენ სხვა სარწმუნოების მსახურნიო.**



† ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე
(1855—1917)

## ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე

**მოსამართლე-ადამიანის ხსოვნას.**

ბევრი მოსამართლეები გვყავს...

ბევრს მსაჯულსა ვხედავთ სასამართლოში.

**ადამიანი-კი მათ შორის იშვიათია.**

იშვიათად შეჰხვდებით მოსამართლეს, ვიზედაც შეიძლებოდეს ითქვას:

— იგი ნამდვილი ადამიანია.

— ის არასოდეს არ უღალატებს ადამიანობას.

დიაღ, ძნელად ითქმის ეს მოსამართლეზე დღევანდელ პირობებში, შჩეგლოვიტოვ-ლაგოდეების რეჟიმში...

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე ამ მხრივ იშვიათს გამონაკლისს წარმოადგენდა.

იგი იყო მოსამართლე-ადამიანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით..

გულწრფელი, პატიოსანი, მიუდგომელი.

იგი არავის წინაშე არ იხრიდა ქედსა, იყო მუდამ მარტოოდენ თვისის სინიდისის კარნახის გამგონე და მიმდევარი. მას არ სჩვეოდა მონური ფსიხოლოგია. მისთვის არა რა იყო წყრომა ძლიერთა ამა ქვეყნისა.

გულით წრფელი, სულით უმანკო ადამიანი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (ანუ როგორც ყველანი მას ეძახდნენ, კოლა) ყველას საყვარელი იყო. ვერავინ გაბედავდა ეჭვიც კი შეეტანა მის ზნეობრივს სიფაქიზეში, უფრორეს დამოუკიდებლობაში.

ეს დამოუკიდებლობა იყო მიზეზი იმისი, რომ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ისეთს რასმე ჰჃედავდა, რაც სიზმარშიაც კი შიშის ზარს დასცემდა ზოგიერთს ჩვენს „განათლებულს“ მოსამართლეს: იგი არ ერიდებოდა სამშობლო ქართულ ენის ხმარებას სახელმწიფო სასამართლოში. სავალდებულოდ სთვლიდა თავისის თავმჯდომარეობის დროს სასამართლოს სხდომა ქართულად ეწარმოებინა, როცა დამნაშავენი და მოწმეები ქართველები იყვნენ, ტ რუსულად თავისის აზრის გამოთქმა ეძნელებოდათ...

და თუმცა განსვენებულის ქართული ბევრგან მოიკოჭლებდა, ბევრს ისეთს რასმე იტყოდა, რაც ხშირად სიცილსა ჰგვრიდა მის გამგონთ, თუმცა მისი „აფორიზმები“, როგორც, მაგალითად: „ხანჯალზე ქმარი ეკიდა“, „მაგიდაში ჩააწვინეს“, „ლეზგინკა იტანცავა“ — ყველასათვის ცნობილი იყო, — მაგრამ „ტარსაიძის ქართულიც“ ტკბილი სყო ჩვენთვის...

მაშ განისვენე, საყვარელო ადამიანო!

შენი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენში!

**გურჯი.**

**უქმის გამო სურათებიანი დამატება გაზეთს შაბათს, 14 იანვარს გამჰყვება. დამატებაში მოთავსებული იქნება: წმიდა ნინო, მგოხნის ოცნება, დედის ალერსი, ნინო და მრავალი კარიკატურა ლექსი „სინათლის რძალი“ სანდრო შანშიაშვილისა. „არაბული ლეგენდა“, ესკიზები: ცქვიტისა, საქარიქედელისა, ძეცხოველისა და სხვათა.**

# ახალი ამბავი

**ქართული დაწესებულებანი.**

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა დაწესდეს მდივნის თანაშემწის თანამდებობა. თანაშემწეს წლიურად ექნება 1200 მან. ხოლო დღევანდელ სიძვირის გამო ზედმეტად მიეცემა 300 მან.

**ქართულ სახელოსნო-სამეურნეო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ თბილისის გუბერნატორს წარუდგინა დასაბუთებული მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი ხევსურების უმწეო მდგომარეობა. მოხსენების ასლი იმავე გამგეობამ გაუგზავნა თავად-აზნაურთა მარშალს და ქართულ კულტურულ-განმანათლებელ კავშირის გამგეობას.

**ქალაქის დაწესებულებანი**

ქალაქის გამგეობას განუცხადა რამდენიმე ბორჩალოელ მებოსტნე თათარმა, რომ საქალაქო სასურსათო დუქნებისათვის ყოველ თვიურად მოგაწვდით 1.000 ურმამდე ყოველგვარ ბოსტნეულს და არსებულ ნიხრზე 20 პროც.-ით უფრო იაფად მოგვყიდითო. სამაგიეროდ ქალაქის გამგეობამ თვიურად 5 ტომარა შაქარი მოგვყიდოსო. ამასთანავე მებოსტნე თათრები ამბობენ, რომ ამ თავითვე 1000 მანეთს დავსტოვებთ ქალაქის კასაში ზეთო. გამგეობა დაწვრილებით აპირებს მათთან მოლაპარაკებას და თუ გამორკვეულ გზას დაადგა, იმ შემთხვევაში აზრად აქვს გუბერნატორის დახმარებით შეკრას მათ პირობით.

**სხვა და სხვა ამბები.**

**ნ. ა. ტარსაიძის ჩამოსვენება.** გუშინ თბილისში ჩამოასვენეს ახლად გარდაცვალებულის ნ. ტარსაიძის გვამი. განჯაში განსვენებულის გვამი აურაცხელ ხალხს გამოუცილებია. ვაგონი ყვავილებით შეუმკიათ. დაკრძალვა მოხდება დღეს, 13 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე. თბილისის ვექილებს დაუდგენიათ გვირგვინის ნაცვლად შეაგროვონ ფული და ქართველ გაჭირვებულ მახიობთ გადასცენ.

**გარდაიცვალა თბ. საზოგადოების** მიერ კარგად ცნობილი ნ. ნ. მაკაროვი, სათეატრო კრიტიკულ წერილებს და ფელეტონებს რომ ათავსებდა ადგილობრივ რუსულ გაზეთებში.

**მეფის ნაცვლის კანცელარიამ** მილიონ ნახევარი მანეთი გადასცა ქალაქთა კავშირის განყოფილებას გადამოხვეწილთა სამკურნალო-სანიტარო საქმეების მოსაწყობად.

**გვთხოვენ გამოვაცხადოთ,** რომ ქალაქის წყალსადენის სახელოსნოს ოსტატი მიხეილ დიდებიძე ორშაბათს, 9 იანვარს, დილის 3 საათზე, წავიდა ქალაქის გამგეობიდან და მას მერმეთ აღარ დაბრუნებულა საქმეზე, არც არავინ იცის, სად იმყოფებაო.

**ზოჭკებით წყლის მზიდველებმა** საოცრად აწიეს ქირა წყლის მიტანისა. ინჟინერმა გ. ქურდიანმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობასა, რომ თითო ვედრო წყლის მიტანაზე $1^1/_2$ კაპ. ნიხრი დაწესდეს. საკითხი ქალაქის საბჭოს წარედგინება გადასაწყვეტად.

**ცეცხლი ბაიაზეთის ქუჩაზედ** (ვერაზედ). 11 იანვარს, ღამის 12 საათზე, გაუჩნდა ცეცხლი ივანე დიასამიძის სახლს მესამე სართულში. დგმურებს ეძინათ და ამან უფრო თავზარი დასცა ყველას. დგმურებმა როგორც იყო მოასწრეს ზოგი რამის განთიდვა, მაგრამ ბევრს ნივთები დაეკარგა. მეხანძრეთა რაზმი დროზედ მოვიდა და ამან გადაარჩინა სახლი მთლად დაწვისაგან. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ იციან.

**მეფის ნაცვლის საბჭომ** თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რომ გორის მახლობლად მდებარე ვოგზლის უბანი, რომელიც აქამდისინ სოფ. ხიდისთავის ნაწილს შეადგენდა, ქალაქ გორში შეირიცხოს.

**სომეხთა სახალხო სამეურნეო საზოგადოებამ** 10.000 მან. თ მიიღო პეტროგრადულ სომეხთა საეკლესიო სამზრუნველოსაგან.

**სომეხთა დრამატიულ საზოგადოებას** განუზრახავს საკუთარ თეატრის აგებისათვის იზრუნოს. ამ დღეებში საზოგადოების წლიური კრება მოხდა, რომელზედაც სხვა საკითხთა შორის, ამ საგანზედაც ალიძრა ლაპარაკი. საზოგადოების უმთავრეს დაბრკოლებას ამ შემთხვევაში ის წარმოადგენს, რომ თეატრის ასაშენებელი ფონდი ამ ჟამად 10,000 მანეთს არ აღემატება. კრებამ დაავალა გამგეობას მოხსენება შეიმუშაოს თეატრის აგების შესახებ და ახლო მომავალში წარმოუდგინოს საგანგებო კრებას.

**კახეთის რკინის გზის გამგეობამ** თბილისის ქალაქის თვითმართველობას აღუთქვა, რომ მომავალ ზაფხულზე წყალს მოგცემ ქალაქის საბოსტნე ადგილების სარწყავად ნავთლუღშიო.

**ბაზარი.** ბედნიერი დღეები გავიდა, მაგრამ ბაზარში სანოვაგე ისევ საოცრად ძვირობს. 10 იანვარს დაკლული ინდაური ფასობდა 6—13 მან., ყვერული 5 მან., ქათამი 3—4 მან., ბატი 4—5 მან., ცოცხალი ქათამი 2—50 კ.—3—50 კ., იხვი 4—4—50 კ., კარაქი 2—50 კაპ., ოსური ყველი გირვანქა 1 მან., დასავლეთ საქართველოს ყველი 80 კაპ., ხაჭო 50 კაპ., ნაღები 80 კაპ., ჯონჯოლი 30 კაპ., ჩადებული წიწაკა 30 კაპ.; ბევრია უბრალო ახალი თევზი: გირვანქა ფასობს 35—50 კაპ. წვრილი ფორთოხალი 10 ცალი ფასობს 75 კაპიკიდან, ლიმონი 1 ცალი 15 კაპიკიდან.

**დეპუტატ აკ. ჩხენკელის ავადმყოფობა.** ექიმებს იმედი აქვსთ, რომ ავადმყოფი მშვიდობით გადაურჩეს ავადმყოფობას.

**გამგეობის წევრის არჩევა.** გამგეობის წევრს გ. ქურულს სამსახურის ვადა იანვრის 16 გაუდის. მომავალ კვირაში დანიშნული იქმნება ახალი არჩევნები. ერთად-ერთ კანდიდატად ამ თანამდებობაზე ისევ ბ-ნ გ. ქურულსა სთვლიან.

**მეორე საკომერციო სასწავლებელში სამზრუნველო საბჭოს წევრად** არჩეულ იქმნა ა. ს. ლორთქიფანიძე, რომელმაც შაგირდთა სასარგებლოთ 500 მანეთი შესწირა.

**ფრესკების გამოფენა.** 11 იანვრამდე ფრესკების გამოფენა ინახულა 1500 კაცმა. გამოფენას შემატა ახალი სურათები მე-XI საუკუნის სახარებიდან, თ-დ ამირაჯიბის მიერ გადმოღებული. გამოფენის სანახავად მოდიან უცხოელი მხატვრებიც, რომელნიც სურვილს აცხადებენ კოპიოების სყიდვისა. ამერიკის საელჩოს მდივანიც გამოფენამ ისე დააინტერესა, რომ მხატვარ შავარდნაძესთან ერთად დაათვალიერა თვით ქართული მუზეუმიცა.

**ქუთაისი.**

— აზოვ-დონის საკომერციო ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველად ივ. პურადაშვილი დაინიშნა.

— ქალაქის საბჭომ დაადგინა სამკურნალო ადგილების მომწესრიგებელ კრებაზე დასასწრებლად გაიგზავნოს ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი და ექიმი დ. ნაზაროვი.

— სოფ. ბზვანში მოჰკლეს ყაჩაღი მჟავანაძე, რომელსაც ჰბრალდებოდა მოტაცება ქუთათელ ვაჭრის ზვიადაძისა, ექიმის გოკიელიშვილისა, ვაჭრის ოცხელისა და ვაჭარ ჯანელიძის შვილისა.

— საზრუშმო სადგურის უფროსი აგრონომი ი. ქუთაღელაძე ამ დღეებში შეუდგება ბჟოლის ხის ნერგების დარიგებას იმ [illegible], ხადაც ეს ხე ნაკლებადაა გავრცელებული.

— შავიქვის მრეწველთა საბჭომ პეტროგრადიდან ნება მიიღო, რომ ქრისტეშობისთვის 28 ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეიწყნარა მრეწველთა თხოვნა და დაადგინა გადიდებულ იქმნეს საფუთო გადასახადი გაზიდულ შავქვაზე, ფუთზე ორ კაპეიკამდე.

**რუისი** (გორ. მაზ.)

აქაურ ორკლასიან სასწავლებელში შობის ხე იყო გამართული. ხალხი ბლომათ დაესწრო დიდი და პატარა. სკოლის ბავშვებმა მშვენივრათ იმღერეს. წაიკითხეს ლექსი ი. წარმოადგინეს საბავშვო პიესა „დგმური“.

აქაური თავად-აზნაურობა და გლეხობა მადლობლები დარჩნენ. ეტყობოდა, მასწავლებლებს დიდი შრომა გაუწევიათ.

სახალხო სკოლების ინსპექტორის ბატ. დომაშევსკის ნებართვით უფროსმა მასწავლებელმა გიორგი მესხიშვილმა მოაგროვა ომში დაზარალებულთა შვილებისთვის 16 მ. 10 კ.

**ქვემო-ქვიტირი** (ქუთ. მ.)

ქრისტეშობისთვის 29 ვიღაც ბოროტმოქმედმა ცეცხლი წაუკიდა აკაკის სახელობის სამკითხველოს. დაიწვა როგორც შენობა, ისე მთელი ქონება სამკითხველოში. ეჭვი მიიტანეს ვინმე ჯავახაძეზე, რომელიც გადამტერებული ყოფილა სამკითხველოს გამგეზე. ჯავახაძე შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

**ზუგდიდი.**

იანვრის 8 ზუგდიდიდან ახალსენაკს მიმავალ დილიჟანში მჯდომი მგზავრები გაძარცვეს. სიმ. შედანიას წაართვეს 510 მანეთი და სხვა ნივთები; სარდ. მეუნარგიას ფულად 1000 მან. ნაბადი, დამბაჩა, ძიქვა, ქამარი, ფეხსაცმელი, ვერცხლის საათი და ბეჭედი; გერასიმე ცანავას 500 მანეთი, სტევარი, ქამარი, ძიქვა, ოქროს საათი, ოთხი თამასუქი 600 მანეთისა, ორს სხვასაც 45 მან.

**ოზურგეთი.**

ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მოურავს თვეში 200 მანეთი მიეცეს ჯამაგირად, ხოლო მის თანაშემწეს 100 მან. ელიან გუბერნატორის მიერ ამ დადგენილების დამტკიცებას, რომ მერე თვით არჩევნებიც მოახდინონ როგორც მოურავისა, ისე მისის თანაშემწისა. მოურავის თანამდებობაზე ასახელებენ ნაფიც ვექილის თანაშემწეს ხმოსან ი. გ. ფირცხალაიშვილს.

— ქრისტეშობისთვის გასულს აქ კრება იყო ოზურგეთის მაზრის სამღვდელოებისა. სხვათა შორის ილაპარაკეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. დაადგინეს ამ საკითხის შესახებ შეუერთდნენ იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამღვდელოებას.

— სარეალო სასწავლებლის გახსნის საქმე ბოლოვდება. ბ-ნმა ივ. ფირცხალაიშვილმა ამის შესახებ მოხსენება წარუდგინა ხმოსნებს.

თი-ერთო ნდობის ბანკს“. ავტორის აზრითა, ეს დაწყება არც ძნელია, რადგან ძირითადი თანხა ამ მომავალ ბანკისა მეტად თვალსაჩინო იქნება ($2^1/_2$ მილიონი). მისივ პროექტით თბილისის გუბერნიის ყოველი სოფელი შევა ამ ბანკში თავის არსებულ თანხით და შეეძლება, მისთვის გახსნილ კრედიტის საზღვრებში, გაიტანოს მოკლე ან გრძელ ვადიანი სესხი. კრედიტის ნორმა შესაძლოა მეტიც დაწესდეს, ვიდრე დღეს არსებობს (არსებულ „წესების“ ძალით კრედიტის ნორმა შემოტანილ თანხას უდრის). მოკლევადიანი სესხი 12 თვის ვალობაზე მიეცემათ განსაკუთრებულ ვექსილების საშუალებით, რომელსაც ხელს მოაწერენ სოფლის რწმუნებულნი, სასოფლო განაჩენების ძალით არჩეულნი. გრძელვადიან სესხის (სამელიორაციო) მთხოვნელთ 20—30 წლის ვადით მიეცემათ, სოფლის მამულების და სახლკარის დაგირავებით. მოკლე-ვადიან სესხის სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს იმ %-ს, რომელსაც დღეს საკრედიტო ამხანაგობები უხდიან სახელმწიფო ბანკს აღებულ სესხზე. გრძელვადიანი სესხის % შეფარდებული უნდა იყოს სამელიორაციო სესხის %, რომელიც სამიწადმოქმედო სამინისტროსაგან დაწესებულია, ე. ი. არა უმეტეს 2%—4 პროც.-ზე. ხსენებულ ბანკს, როგორც სანდო შუამავალს, მთავრობა დიდის ხალისით ჩააბარებს თავის საწარმოვო სამელიორაციო თანხის ნაწილს, ბანკის სამელიორაციო სესხის გაფართოვებისათვის. ბანკის მოგება შეეკეცება ძირითად თანხას, რათა საწარმოვო თანხა გადიდდეს და ახლო მომავალში უსათუოდ მოისპოს მისი ძველებური წესი სოფელ-სოფელ კრედვისა. მასთან, გაძლიერებული ძირითადი თანხა ბანკის მმართველობას მისცემს შეძლებას შეამციროს პროც. გატანილ სესხზედ და ნაწილი მოგებისა შესაძლოა სოფლის კულტურულ საქმეებზე დაიხარჯოს. მე მგონია, — ამბობს დასასრულში გ. ვ. ზერცალოვი, — რომ ასეთი განხორციელება საქმისა სამაგალითო დაგვირგვინება იქნება გლეხთა სასოფლო-სამეურნეო თანხის დამაარსებელთა აზრისა და მაშინ თბილისის გუბერნიის გლეხკაცობას მართლაც ეშველება და მიეცემა ისეთი ძალა, რომლის შემწეობით მომავალში ნამდვილად შესძლებს თავის ცხოვრების მოგვარებას და აღორძინების გზაზე დაყენებას“.

—

ასეთია, მოკლედ, შინაარსი ბ. ზერცალოვის წიგნაკისა. მართალი უნდა ითქვას, რომ ჩვენის ერის ცხოვრება და კერძოდ ჩვენის გლეხკაცობისა რუს მოღვაწეთა მიერ საქმიან სიტყვა-ჩრევითა ძალიან ნაკლებადაა განებივრებული. ამის გამო ბ-ნი გ. ვ. ზერცალოვი თავისის შრომისთვის უსათუოდ მადლობის ღირსია. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ პატივცემული ავტორი ახლო გაცნობილია ჩვენს სოფელთან, მის ნაშრომსაც ერთგვარი ფასიც ედება.

მაგრამ არ შეიძლება ისიც არ ითქვას, რომ ბ. ზერცალოვის კრიტიკას საზოგადოთ ახალი არაფერი აღმოუჩენია. არ ახალია—ძველია ის სამწუხარო ამბავი, რომ ძველად-ძველმა კულტურულმა, ნიჭიერმა, მილიონების სიმდიდრის პატრონმა ქართველი ერმა რუს ბიუროკრატიის მოხელეთა ხელში მუხრუჭ მოჭერილმა, გალატაკებულმა, წელში გატეხილმა მე-XX საუკუნის კარამდის ძლივს მიაღწია. და თუ მიაღწია, ეს მარტო იმის წყალობით, რომ ქართველ ხალხის თვითარსებობის დაცვის ჟინი და ნიჭი ყოველთვის გამოულეველი და ძლიერი ყოფილა. სხვა ერი ქართველების მდგომარეობაში, კაიხანია, განიავდებოდა კიდეც. მაშ რა დაემართებოდა? წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელსაც ას თექვსმეტი წლის განმავლობაში არცერთი მისთვის საჭირო რეფორმა არ აღირსეს. წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომლის ინტერესთა წინააღმდეგ მარად ჟამს და საგანგებოდ მოხელენი სთხზავენ სხვა და სხვა ადმინისტრატიულ კანონებს, რომელთა მიზანია დღეს—ქართველებს მიწები ჩამოაჭრან, ხვალ—წყლები დაუშრონ, ზეგ—უცხო ტომის ხალხი თავზე წამოასხან! წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომლის წინაალმდეგ დღესაც-კი პოლიტიკანობენ უმეტესი წილი კავკასიის ოფიციალ დაწესებულებათა: კავკასიის სამიწადმოქმედო დეპარტამენტი, კავკასიის წყლების სამმართველო, სახელმწიფო და საგლეხო საადგილმამულო ბანკები და სხვა და სხვა. წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელიც ოცდა-ათი წლის განმავლობაში ეხვეწება რუსეთის ბიუროკრატიას: მოგვეცი უფლება ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებას ჩვენისავე ხელით მოვუაროთ, მოგვეცი ერობა 1890 წლის სახით მაინც! პასუხად აქაც ის მიიღო, რომ 1890 წ. ერობის სახე იმდენად დაასახიჩრეს, რამდენადაც ეს საჭირო იყო ქართველ ერის სამართლიან მოთხოვნილების დაჩაგვრისათვის. 1916 წ. ასეთი პასუხი გასცეს იმ ერს, რომლის, ღვაწლი რუსეთის წინაშე წარსულში და დღესაც მეტოქეობის გარეშე სდგას, ასეთი პასუხი გასცეს იმ ქართველ ერს, რომლის პორთფელში თამასუქია 1783 წლის თარიღით.

რა გასაკვირველია, რომ ქართველ გლეხკაცობის ორ-ნახევარ მილიონი ნაღდი ფული კავკასიის საგლეხო მართველობის აკლდამაში უსულო გვამად მოემწყვდია? ეს სავსებით შეფარდებულია რუსეთის ბიუროკრატიის პოლიტიკასთან საქართველოში ცნობილ ლოზუნგით: კლიტე და ბეჭედი ქართველობის ეკონომიურ პოლიტიკურ გაძლიერებას! დიახ, ამიტომაც ორ ნახევარ მილიონ მანეთის ფონდს, 1904 წლ. „წესების“ სახით, ვეებერთელა კლიტე ჩამოჰკიდეს, მისი დაბეჭდვა კი კავკასიის საგლეხო სამმართველოს მიანდვეს...

—

ორ ნახევარ მილიონ მანეთის რაციონალად გამოყენება ძნელი საქმე არ არის. როგორც კი მოხელეთა ოპეკუნობის მუხრუჭს თავს დააღწევს, მაშინვე მონახავს თავის გზასა. აშკარაა, იგი მოეწყობა საბანკო ორგანიზაციის ფორმაში. უსათუოდ იგი სამეურნეო-სამელიორაციო მიზნების განმახორციელებელი გახდება. ჩვენს სოფელს ინტენსიური მეურნეობა ესაჭიროება. დღევანდელი სოფელი დაჟინებით მოითხოვს სამეურნეო იარაღს, მანქანებს, ხელოვნურ სასუქს, სარწყავ რუებს, ჭაობების დაშრობას, აგრონომებს, ინსტრუქტორებს, ინჟენრებს და სხვა. ჩვენი გლეხკაცობის დიადი მომავალი ინტენსიურ მეურნეობაზეა დამოკიდებული. იაფი და გრძელ ვადიანი სამეურნეო კრედიტი ხომ დედა ბოძია ინტენსიურ მეურნეობისა. სამეურნეო სამელიორაციო ბანკი, სასოფლო წვრილ კრედიტის კავშირებთან გადაბმული, ჩვენს სახალხო კრედიტის შენობას ხომ ბრწყინვალედ დააგვირგვინებს. როგორ და რა წესით მოეწყობა ამ ნაირი ბანკი, ამის გამორკვევას არც ისეთი დიდი დრო მოუნდება. ძნელია ხომ მარტო ფულის შოვნა. ფული კი მზადაა. ეჭვს გარეშეა გლეხთა სასოფლო-სამეურნეო თანხის შედგენის თავისებურობის გამო რამდენიმე რთული კითხვა დაიბადება. აქ არ ვასახელებ ამ კითხვებს. ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი. მაგრამ მეტად საჭიროა საკითხი ამ ფონდისა ეხლავე წამოყენებულ იქმნეს ქართველ ფინანსისტთა და კოოპერატორთა წრეებში, რადგანაც სამეურნეო-სამელიორაციო ბანკის დაარსების საკითხი მჭიდროდ გადაბმულია საერთო ჩვენ ფინანსიურ და კოოპერატიულ ცხოვრებასთან. დაუყონებლივ წინასწარ მუშაობის დაწყებას გვავალებს თვით დღევანდელი აჩქარებული დრო და ის გარემოებაც, რომ ამ თანხის „პატრონებს“ შორის ჩვენს გლეხკაცობაში ენერგიული პროპაგანდა უნდა გავსწიოთ და „ოპეკუნებსაც“ ანგარიში გავუწიოთ. ამ ფონდს ხომ უნდა ავხსნათ ბორკილები 1904 წლ. „წესებისა“.

ეს იქნება პირველი და ნამდვილი რეფორმა საგლეხო ცხოვრებისა. ორნახევარი მილიონი მანეთი ჩვენს გლეხკაცობას წელში გაასწორებს და დიად მომავლისაკენ გზას გაუკაფავს.

ამაზე ოცნებობდა, ამისათვის იღვწოდა და იბრძოდა 25 წლის წინად ამ ფონდის დამაარსებელი კეთილი ქართველი გ. შერვაშიძე და რაც მაშინ მან ვერ შესძლო, დღეს ჩვენ უნდა შევსძლოთ.

**დ. კახელი.**

## თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობის (ქართ. მეთოჯნეების კოოპერატივის) წლიური კრება

**11 იანვარი.**

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი ანანია გრიგოლია, ხოლო მდივნად ბ-ნი დვალი: როგორც კრებაზე წაკითხული ანგარიში გვიჩვენებს, ამხანაგობას დაუტრიალებია საანგარიშო წლის განმავლობაში 5.300.000 მან. საერთო მოგება ამხანაგობისა ყოფილა 29.953 მან. 47 კაპ. ხოლო საერთო ხარჯი 14 610 მან. 60 კაპ. წმინდა მოგება დარჩენილა 15.342 მან. 87 კაპ. საპაიო ფული შემოსულა 4.691 მან. სესხად ჰქონია აღებული სახელმწიფო ბანკისაგან 28.000 მან. შესანახად მობარებული ყოფილა ამხანაგობის კასაში 36.392 მან. სესხად გაუციათ წევრებზე 28.799 მან. 72 კაპ. წლის დამლევს ამხანაგობის საწყობში საქონელი ყოფილა 58.610 მან. 42 კაპ. სხვა და სხვა ბანკებში ჰქონია მიბარებული 32.877 მან. 47 კაპ. და სხ. წევრებად ჰყოლია ამხანაგობას 437 კაცი.

ანგარიში თავის მხრივ განუმარტა კრებას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. გორდეზიანმა.

ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

შემდეგ კრებამ ითათბირა შესახებ წმიდა მოგების განაწილებისა და, თანახმად ამხანაგობის წესდებისა, მოგების ნახევარი (7,671 მან.) გადასდო სათადარიგო თანხაში ჩასარიცხად, 3,000 მან. გადასდო საკუთარი სახლის შესაძენ ფონდისათვის, 600 მანეთი სხვა და სხვა დაწესებულებისთვის მისაცემად (ამ თანხას გაანაწილებენ ამხანაგობის საბჭო და გამგეობა) და 200 მან. ბუჰალტრის საჩუქრად გადასდვა.

ამის შემდეგ კრებამ ილაპარაკა გრ. ნ. დიასამიძის შესახებ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხანაგობის წინაშე და, რადგან ბ-ნმა დიასამიძემ დროს უქონლობის გამო უარი განაცხადა გამგეობის თავმჯდომარეობაზე, კრებამ ერთხმად დაადგინა მადლობა გამოუცხადოს მას პირადათ და პრესის საშუალებით უსასყიდლო მუშაობისათვის და აირჩია იგი ამხანაგობის საპატიო თავმჯდომარედ.

მიმდინარე 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება და გამგეობის მეოთხე წევრისა და თავმჯდომარისა და აგრეთვე საწყობის გამგეობის არჩევნები გადაიდვა 13 იანვრისათვის.

## მსოფლიო სიძვირე*)

მსოფლიო ომმა შთანთქა აუარებელი ქონება, გააუბარაქოვა სანოვაგე, შეამცირა სამეურნეო წარმოება და პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე უზომოდ ასწია მაზანდა არა მარტო მებრძოლ სახელმწიფოებში, არამედ ნეიტრალ ქვეყნებშიაც კი.

ჩვენს ქვეყანაში რა ცეცხლის კიდებაც არის ყველაფრისა, ყველას საკუთარის გამოცდილებით მოეხსენება. თბილისის ბაზარზე, მაგ. დღეს ხრილის პური 8 კ. ღირს, ღორის ხორცი 1 მ.—1 მ.—20 კ. ძროხისა 1 მ., ხარისა—60—70 კ. ამავე ფასში ასაღებენ კამეჩის ხორცსაც. კარაქი სულ დაბალის ხარისხისა—2 მან, ყველი თუშური—1 მ., ქარხნისა 60—70 კ. ნავთი 8 კ., შეშა საჟენი 12—14 თუმანი, ურმობით 10—30 მან. ნახშირი თითო ტომარა, რომელიც წინად 25 კ. ღირდა, 2 მ.—2 მ. 50 კ. შაქარი—25—27 კაპ. და სხვა. ქათამი 3—6 მ. ინდაური—8—15 მ. ბატი—4—7 მან. ჩარჩების ხელში ჩავარდნილი მსყიდველი ხომ საცოდაობაშია. ამბობენ, კერძოდ შაქარს 2 მანეთადაც კი ჰყიდიან გირვანქასაო. ფეხსაცმელი 30—90 მანათი, ჩექმები 90—150 მ. ხარაზული ჩუსტები 6—8 მან. სარეცხის საპონი—70 კ. ფართლეულობას ხომ ნუღარ მოვიხსენიებთ. საშუალო ვარაუდით, ჩვენში სანოვაგე ერთი ხუთად და ბევრი ერთი ათადაც გაძვირებულია.

**ავსტრიაში.**

დასავლეთ ევროპაში ყველაზე მეტი სიძვირე ავსტრიაშია. ვენაში მაგ. ღორის ხორცი 1 მ. 50 კ. გირვანქა. საპონი 1 მანეთზე მეტად ღირს. ფეხსაცმელი უტყაობისა გამო ისე გაძვირდა, რომ საძირეს ეხლა ხისას აკეთებენ. ხის ძირიანი ტყავის ფეხსაცმელი 6—7 მანათით ნაკლებად ღირს. ავსტრიაში მხოლოდ შაქარია იაფი იტალიასთან, ინგლისთან, გერმანეთთან და რუსეთთან შედარებით. მოგვყავს ავსტრიაში 1916 წ. მაისში არსებული მაზანდა.

| | 1 კილო[1]) | კრონი[2]) |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი — | — | $7^1/_2$ |
| ღორის ხორცი — | — | 9.70 |
| ცხენის ხორცი — | — | $4^1/_2$ |
| შაქარი — | — | 1.04 |
| ხორბლის ფქვილი | — | — 56 |
| კარტოფილი — | — | — 18 |
| კომბოსტოს მწნილი | — | — 66 |
| ბრინჯი — | — | არ იშოვება |
| ღორის ქონი — | — | 6.40 |
| ერბო — | — | 8.20 |
| კვერცხი (თითო) | — | 0.19 |
| რძე ბოთლი — | — | 0.46 |

**1916 წ. გიორგობისთვეში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი | 1 კილო | 13 | კრონი. |
| ხბოს ხორცი | — | 13 | „ |
| ღორისა — | — | 9.50 | „ |
| ბატი (დაკლული) | — | 12.00 | „ |
| ღორის ქონი — | — | 13.00 | „ |
| თევზი ზღვისა | — | 9.00 | „ |
| ბატის ქონი — | — | 24.00 | „ |
| ლობიო — | — | 1.20 | „ |
| მუხუდო — | — | 1.20 | „ |
| ვაშლი — | — | 1.40 | „ |
| გამხმარი სოკო | — | 30 — | „ |

**უნგრეთში.**

უნგრეთი უფრო დოვლათიანი ქვეყანაა და, ავსტრიასაც ის აწვდის სანოვაგეს, მაგრამ იქაც სიძვირეა, თუმცა, ავსტრიასთან შედარებით, უფრო ნაკლები.

1916 წ. ღვინობისთვის მაზანდა:

| | | |
|---|---|---|
| ხორცი წვნიანისთვის 1 კილ. | 6.80 | კრ. |
| ცხვრის ხორცი — | — 4.00 | „ |
| ქონი — — | — 8.50 | „ |
| ბრინჯი — — | — 3.00 | „ |
| ბატის ხორცი — | — 5.00 | „ |
| ნაფოტა (საზანი) | — 6.00 | „ |

ავსტრია-უნგრეთში საშუალო ვარაუდით სანოვაგე 121% გაძვირებულა.

**იტალიაში.**

იტალიას უფრო ნაკლებ მოხვდა სიძვირის კლანჭები 1916 წ. გიორგობისთვეში ასეთი მაზანდა ყოფილა სანოვაგეზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| პური | 1 გირვ. | $6^1/_2$ | კაპ. |
| მაკარონი | — | — 7 | „ |
| ბრინჯი | — | — 7 | „ |
| კარტოფილი | — | — 6 | „ |
| შაქარი | — | — 36 | „ |
| ძროხის ხორცი | — | 60 | „ |

საერთოდ იტალიაში სანოვაგე 1915 წლის 1916 წლამდე 62% გაძვირებულა. 6 ფუთიანი ტომარა ფქვილი 1914 წ. ღირდა 7 მ. 50 კ. ეხლა კი 17—19 მანათზე ავიდა. კარბოლის სიმჟავე 1 ბოთლი 30-ჯერ მეტად ღირს, ვიდრე ომამდე ღირდა. ტერმომეტრი, რომელიც წინად 60 კ. ღირდა, ეხლა 5—6 მანეთადაა.

ომის წინანდელ ფასებთან შედარებით იტალიაში საშუალო ვარაუდით სანოვაგის და საქონლის ფასმა 133% იმატა.

**საფრანგეთში.**

საფრანგეთში საერთო ვარაუდით ერთი ორად გაძვირებულა სანოვაგე. მოგვყავს ფასები ომამდე და ომის დროინდელი.

| | 1914 წ. | 1916 წ. |
|---|---|---|
| ფქვილი გირვ. | $8^1/_5$ კ. | $8^1/_5$ კ. |
| პური — | 6 კ. | $7^1/_2$ კ. |
| შაქარი — | $10^1/_2$ კ. | 21 კ |
| ბატის ხორცი | 42 კ. | 60 კ. |
| ინდაურის ხორცი | 57 კ. | 68 კ. |
| ნივრის თავი | $1^2/_3$ კ. | $5^1/_4$ კ. |
| კარტოფილი | $5^1/_2$ კ. | 11 კ. |
| ლობიო — | 10 კ. | 20 კ. |
| ვაშლი — | 3 კ. | 7 კ. |

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფასები საფრანგეთის სოფლებისაა და არა დიდ ქალაქებისა, მით უმეტეს პარისის მაზანდას არ გადმოგვცემს.

საფრანგეთში საშუალოდ 50% გაძვირებულა სანოვაგე.

**ესპანია.**

ყველაზე ნაკლები სიძვირე ესპანიანიაშია. იქ თითქმის არც კი შეუტყვიათ ომის ქარცეცხლი. მოგვყავს მაზანდა.

| | 1914 წ. | 1916 წ. |
|---|---|---|
| ბრინჯი 1 გ. | 9 კ. | 9 კ. |
| ყავა — | 90 კ. | 90 კ. |
| ძროხის ხორცი | 35 კ. | 40 კ. |
| ღორის ხორცი | 40 კ. | 44 კ. |
| შაქარი — | 14 კ. | 19 კ. |
| ხორბლის პური | 6 კ. | 7 კ. |
| კვერცხი | 2 კ. | 3 კ. |
| საპონი | 12 კ. | 14 კ. |

ესპანიაში ყველაზე ძვირი ქვანახშირია.

**რძის მაზანდა.**

თითო გირვანქა რძე ღირს;

| | |
|---|---|
| ავსტრიაში— | $13^1/_2$ კ. |
| უნგრეთში — | $18^1/_2$ კ. |
| იტალიაში — | 11 კ. |
| საფრანგეთში | $16^1/_2$ კ. |
| გერმანეთში | $11^2/_3$ კ. |
| შვეიცარიაში | 10 კ. |
| ნორვეგიაში | 12 კ. |
| შვეციაში — | 11 კ. |
| ჰოლანდიაში | 7 კ. |
| დანიაში — | 15 კ. |
| ინგლისში— | 15 კ. |
| შოტლანდ. | 16 კ. |
| შეერთ. შტ. | $13^1/_2$ კ. |
| კანადაში — | $18^1/_2$ კ. |
| თბილისში— | 20 კ. |

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ტოტომიანცის აზრით მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტი სიძვირე ყოფილა ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთში. თუმცა რუსეთის ზოგიერთ სამეურნეო კუთხეებში ცხოვრება შედარებით იაფია, ვიდრე სხვა მებრძოლ სახელმწიფოებში, მაგრამ რუსეთის დიდ ქალაქებში გაცილებით მეტი სიძვირეა, ვიდრე გერმანეთშიო.

გერმანეთში ორთა შუა რიცხვით სანოვაგე 10% გაძვირებულა ე. ი. ერთი-ორად გამხდარა.

**Calme.**

*) მასალები აღებულია პროფ. ვ. ტოტომიანცის, ს. საზანოვის, ე. ბელოვის, ვ. ს—ს, ვ. კ—სკის, ვერა დანჩაკოვის, Spectator-ის და ვ. კ—ს წერილებიდან.

1) კილო—$2^1/_2$ გირვანქა.
2) კრონი—40 კაპ.

## დაბა-სოფლები

**ხაშური.** 8 იანვარს აქ მოხდა დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება. კრებას ბევრნი დაესწრნენ. განსახილველი იყო: წლიური ანგარიში, ახალ წევრების მიღება, მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვა და ახალი გამგეობის არჩევნები. წლიური ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ ბ-მა კ. ი. ძნელაძემ. როგორც სარევიზიო კომისია აღნიშნავს, გამგეობას დიდი ენერგია გამოუჩენია მთელის წლის განმავლობაში და დიდი დახმარებაც აღმოუჩენია სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათათვის. ამიტომ, საზოგადოებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა გამგეობას. მიუხედავად ამისა ბ. ნ. იმნაიშვილმა მაინც თავი ვერ შეიკავა და უკადრაულის სიტყვებით მოიხსენია გამგეობა. ბ-ნ იმნაიშვილს პროტესტი გამოუცხადა საზოგადოებამ.

შემდეგ უნდა მომხდარიყო არჩევნები ახალ გამგეობისა. ერთმა საზოგადოების წევრმა დაასახელა თავისი კანდიდატები. შემდეგ თავმჯდომარემ მოსთხოვა საზოგადოებას დაესახელებინათ სხვა კანდიდატებიც. მაგრამ ბ. იმნაიშვილმა განაცხადა: თუ პირობას მომცემთ, რომ ჩემი კანდიდატები გაყვანილი იქნებიან, მაშინ დავასახელებ კანდიდატებსო, თუ არა და კრებას ვტოვებო. რასაკვირველია, ასეთი პირობის მიცემა შეუძლებელი იყო, რადგან არ იცოდენ, თუ ვინ იყვნენ იმისი კანდიდატები. ამიტომ ბ. იმნაიშვილმა კრება დასტოვა ~~და~~ თან გაიყოლია თავისი მომხრენი. კრებაზედ თუმცა უმრავლესობა დარჩა და კრება კანონიერად ითვლებოდა, საზოგადოებამ მაინც უხერხულად სცნო არჩევნები მოეხდინა და კრება გადაიდო მომავალ კვირისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. იმნაიშვილის მოვლინების შემდეგ ყოველ კულტურულ დაწესებულებაში უეჭველად არეულობა და საქმის აწეწვ-დაწეწვა ხდება. ჩვენის თეატრის საქმე ბეწვზედ ჰკიდია და ასეთის კულტურულ საქმის წაქცევა დიდი დანაკლისი იქნება საზოგადოებისთვის საჭიროა საზოგადოება ფრთხილად მოეპყრას და არ დაღუპოს ასეთი საქმე. მოვაგონებთ სცენის მოყვარეებს, რომ ეს საქმე მათი შექმნილია და მათ მეტი ხმის ამოღებაც შეუძლიანთ.

**დამსწრე.**

## ღია ბარათი

ბოდბის მონასტრის სასწავლებლის გამგეს მღვ. გ. შანშიაშვილს.

მოვისმინე თქვენი პასუხი. არავისათვისაა დასამალი, რომ თითქმის ყველა სასწავლებელში ქართულ ენას უკანასკნელი ადგილი უჭირავს და მით უმეტეს თქვენს სასწავლებელში. ასი ენა დაილაპარაკებს, ასი პირი დაიჩივლებს, რომ შინაური და გარეული ქართულ ენას სდევნიან. ქართულ ენისათვის სადღაც საკუჭნაოში მიუციათ ადგილი და მიკუნჭული ოდნავღა ჰფეთქავს.

თქვენა ბრძანებთ: ქართულ ენას განსაკუთრებული მასწავლებელი ჰყავს, რომელსაც თვეში 40 მან. ეძლევაო. საწყალი მასწავლებელი, ამისთანა დროში მაგ ჯამაგირით უნდა იარსებოს? დიახ, საქმეც ის გახლავსთ! დღეს, როდესაც უკანასკნელი მოჯამაგირე, ან მუშა წლიურად 400—500 მანეთს ღებულობს, იმ დროს-კი, რარასაკვირველია, მაგ ჯამაგირზედ კარგი მცოდნე მასწავლებელი ქართული ენისა არავინ დადგება. და არც გასაკვირალია, რომ მოწაფეებმა ქართული ენა ცუდათ იცოდნენ. თქვენვე ბრძანებთ: ქარ. ენა ყველა ქართველი ქალისთვის სავალდებულოა, ვინაიდან იგინი ქართული სასწავლებლის მასწავლებლად ემზადებიანო.

დიახ, სულიერო მამაო! ხელმეორეთ უნდა გაგიმეოროთ, რომ სწორეთ თქვენი სასწავლებლის კურს დასრულებული მასწავლებლის ერთ ერთ მის გაკვეთილზედ დავესწარი და სწორედ შესაბრალისი იყო მისი ქართული ენა, დამახინჯებული, შერეული რუსული სიტყვებით.

**Legatus.**

—

ბ. გორის მაზრის წვრილ კრედიტის ინსპექტორს ანანია ბესარიონის ძეს გრიგოლიას.

განვლილ წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, გაზეთ „საქართველო"-ში მოთავსებული იყო სოფელ ლამის-ყანიდან კორრესპონდენცია, რომელიც ცხადად მოწმობდა ადგილობრივი წვრილი კრედიტის არა სასურველ მდგომარეობას. სხვათა შორის აღნიშნული იყო ერთი ბოროტება გამგეობის ერთ ერთ წევრის ბ. მაყიშვილისაგან ჩადენილი (ყალბის თამასუქით კასიდან ფულის გამოტანა).

ეს ამბავი თქვენ, ბ. ანანია ბესარიონის ძევ, კარგათ მოგეხსენებათ, რადგან ხსენებული თამასუქი, თქვენ მიერ მოხდენილ რევიზიის შემდეგ, თქვენს ხელში გადმოვიდა და, რამდენათაც ვიცით, ოქმიცა გაქვსთ ამაზე შედგენილი.

ჩვენ, კრედიტის წევრთა, იმედი გვქონდა, რომ აღნიშნულ გაზეთის საშუალებით გვაცნობებდით, თუ რა იქნა ეს თამასუქი, ან რა დაემართა თქვენგანვე შედგენილს ოქმს.

უმორჩილესად გთხოვთ გაზეთის საშუალებით გვაცნობოთ აღძრულ საქმის მდგომარეობა, რადგან მისი გაშუქება უფრო ასარგებლებს საზოგადოებას, ვიდრე მიფუჩეჩება.

**ერთი წევრთაგანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ხარიტონ შანშიაშვილი


### ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

გამოცემა „ამხანაგობისა"

გამოვიდა ~~და~~ იყიდება ყველგან

„ბედი ქართლისა"
ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე
ფასი ერთი მანეთი.



ეს წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

ხამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება"
(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულს ნიადაგზე. „განათლება" აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან ~~და~~ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი ~~და~~ აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების" კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ეღირება 50 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნას" სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი

„ცხოვრება"-ზე
წელიწადი მესამე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ ვ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები. წლიურად ჟურნალი ეღირება 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Роману Спиридоновичу Панцхава.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—340—16)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4